

...ქრთამი დანაშაუ-
ლებრივ, ანტისა-
ზოგადოებრივ, ან-
ტიმოსციალისტურ
საქმიანობაში ხელ-
მძღვანელი მუშა-
კების ჩათრევის სა-
შუალება ხდება.
ასეთი „შეზრდა“
ჩვენი საზოგადოე-
ბისათვის განსა-
კუთრებული სოცი-
ალური, პოლიტიკუ-
რი და ჯანმრავი
საშიშროებაა.

ამხანაზ
ჯ. ი. პატიუშვილის
სიტყვიდან

15

აგვისტო

1985

შაშუაშ



ნ.ბ. ი. პატიუშვილისა

„სოციალისტური ანგარი“

ამას წინათ ჟურნალ „ნიანგის“ რედაქციაში გაიმართა კამათი მისაღებ გამოცდებთან დაკავშირებით, სადაც მრავალი საკითხი იქნა წამოჭრილი და გაანალიზებული. ვაჭვევებით კამათში მონაწილეთა დიალოგს.

აბიტურიენტი დეიდა: — მოგესვენებთ, მრავალფეროვანია საგამოცდო საწერ თემათა თემატიკა. აბიტურიენტს შეიძლება საკმაოდ ჰქონდეს დამუშავებული ამა თუ იმ მწერლის შემოქმედება, მაგრამ ისეთი სათაურით მოვიდეს თემა, რომ დაიბნეს. მაგალითად: „იმ ვარდისფერ ატმებს მე ვივლინებ კვლავ...“ ყველამ ვიცით, ეს პოეტური სტრიქონი ეკუთვნის გ. ტაბიძეს, მაგრამ რამდენიც უნდა იქექოს აბიტურიენტმა უბე და ჯიბეები, ამ სათაურით თემას ვერ იპოვის. რა უნდა ჰქნას ასეთ შემთხვევაში გამოსაცდელმა?

გამომცემელი: — არის შემთხვევა, რომ ორიგინალური სათაურით მოდის საგამოცდო საწერი თემა, მაგრამ ამან არ უნდა დააბნიოს აბიტურიენტი. გამოსცდაზე მოსულ ახალგაზრდას არ შეიძლება ერთი თემა მაინც არ აღმოაჩნდეს გალაკტიონის შესახებ. იგი ყოველგვარი მღელვარების გარეშე ძებნის და იწერს მას. ან შეუძლია წეროს ის, რასაც თავისი ფანტაზია უკარნახებს. თუ მისი საწერი ნაცნობ გამომცემელს ჩაუვარდა გასასწორებლად, სომ კარგი, თუ არადა, რამნიშვნელობა აქვს, რას და როგორ დაწერს?!

ბიძა (დედის მსრივე): — აქვს თუ არა გამომცემელს უფლება, შეაფასოს დამაკმაყოფილებლად ან მაღალი ნიშნით ნაწერი, თუ ის წინასწარ გაფრთხილებული არ არის?

მიმღები კომისიის მდივანი: — საგამოცდო სისტემაში სწორად შეგვაქვს ცვლილებები. იყო დრო, როცა გამომცემელს წინასწარ გაფრთხილების გარეშე არ ჰქონდა უფლება ნაწერის დამაკმაყოფილებლად შეფასებისა. ამჯერად ვითარება რამდენადმე შეიცვალა.

ინსტრუქტორი: — ალბათ გასსოვთ ამის შესახებ გამართული კამათი პრესის ფურცლებზე. ასეთ შემთხვევაში ზოგი მომხრე იყო, ყველასათვის დაეწერათ მაღალი ნიშანი, ზოგიც პირიქით — ყველას ერთნაირად „გასწორებოდნენ“. ნაწილს სურდა, საერთოდ „პაროლის“ იგნორირება და ისე გასწორება ნაწერებისა. პრაქტიკამ კი გვიჩვენა, რომ ასეთ შემთხვევაში ყველას უნდა დაეწეროს მაღალი ნიშანი, რადგან ის ერთი, ვისთვისაც ვაიცა ესა თუ ის „პა-

ვეტყვიტ საშუალო სკოლისა და მისაღები გამოცდების პროგრამების შესახებ?

მასწავლებელი: — როგორც ვიცით, საშუალო სკოლა დიდ როლს ასრულებს ახალგაზრდის გონებრივი ჩამოყალიბების საქმეში. საშუალო სკოლა დამთავრებულს აქვს საკმაო ბაზა იმისათვის, რომ მოემზადოს რეპეტიტორთან და მხოლოდ ამ გზით აითვისოს ის პროგრამა, რასაც მას მისაღებ გამოცდებზე სთხოვენ.

აბიტურიენტი მეზობელი: — როდისა აქვს უფრო მეტი

სწავლობდეს ამ ენას. უნდა შეეძლოს თავისუფლად შექმენდეს ამ ენაზე, სოლო რიტმულად და მონოლოგურად უმაღლესი სასწავლებლის კარებს და იწყებს სტუდენტურ ცხოვრებას; მოგვესვენებთ, იგი ნაკლებად იცლის თავისი სპეციალობისათვის. აქეთ — კინო, იქით — თეატრი, ექსკურსიები, დაბადების დღეებიო, და, ვინ იცის, კიდევ რა... სუთი წელიც თვალის დახამანებაში გაქრება!.. ენამ, ყოველდღე თუ არ ივარჯიშე, დავიწყება იცის. სუთი წელი კი საკმაო დროა იმისათვის, რომ ბევრი რამ ამოიშალოს მესხიერებიდან. ამიტომ, ბუნებრივია, ახალგაზრდა უფრო მეტი იცის ჩაუციკლურ საგანში უმაღლეს სასწავლებელში შესვლამდე, ვიდრე მისი დამთავრების შემდეგ.

აბიტურიენტი მეზობლის ნათესავი: — რატომ ანიჭებს ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელს უპირატესობას, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთან შედარებით?

ინსტრუქტორი: — უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდა, „შესაფერი“ სამუშაოს ძებნის მიზეზით თავს არიდებს საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობას და სხვის ხარჯზე ახერხებს ფონს გასვლას. სოლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებული „იძულებულია“, არ დაუწყოს „შესაფერ“ სამუშაოს ძებნა და თავისი პრობლემით მოიპოვოს ლუკმაპური.

სტენოგრაფისტი ნომადი ბართაია



გამომცემელს, წინასწარი გაფრთხილების გარეშე, შეუძლია დააფასოს ნაწერი, რადგან ეს ფაქტიურად არაფერს ცვლის. მაღალი ნიშნით შეფასების წესი ძველებურად ძალაში რჩება.

აბიტურიენტი მამიდა: — როგორ მოიქცეს გამომცემელი, თუ ერთი და იგივე „პაროლით“ რამდენიმე ნაწერმა მოიყარა მასთან თავი გასასწორებლად?

როლი, გაუგებრობის მსვერპლი არ შეიქნეს!

აბიტურიენტი ბიძაშვილი: — აქ „პაროლის“ გაცემაზე ჩამოვარდა სიტყვა, როდის არის „პაროლის“ გაცემის ბოლო ვადა?

მიმღ. კომ. მდივანი მოადგილე: — „პაროლების“ გაცემა წყდება გამომცემლის დაწყებამდე ორი დღით ადრე. **აბიტურიენტი** მშობელი: — რას

ახალგაზრდას საგანში, უმაღლეს სასწავლებელში შესვლამდე, თუ დამთავრების შემდეგ?

ლექტორი: — ახალგაზრდას მაშინ აქვს მეტი ცოდნა მომავალ სპეციალობაში, როცა ის შემოდის უმაღლეს სასწავლებელში. მაგალითად, ახალგაზრდას თუ სურს რომელიმე უცხო ენის განხრით სწავლის გაგრძელება, ის საბავშვო ბაღიდან უნდა

— მითხარით, ყმაწვილო, რა დაბოლოება აქვს სიტყვა ა ბ ი ტ უ რ ი ე ნ ტ ს მი ც ე მ ი თ ს ა და ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ბ რ უ ნ ვ ე ბ შ ი ?
— ს ტ უ დ ე ნ ტ ი, პ ა ტ ი ე ც ე მ უ ლ ო !

— როგორ?! თქვენმა ვაჟმა მართლა ვერ მიიღო ხუთიანი?!
— ვერა! ორი სერიოზული შეცდომა დაუშვა გამოცდაზე: ვერ მივიდა ნაცნობ ლექტორთან და ვერ აიღო დანიშნული ბილეთი!

— გამომცდლები პირდაპირ ალტაცებული დარჩნენ ჩემი პასუხით!
— მერე, რა ნიშანი დაგიწერეს?!
— განა არ იცით, ალტაცებას რა ნიშნით გამოხატავენ?!
— რას მელაპარაკები?! ძახილის ნიშანი დაგიწერეს?!

ნანული ჯავახიშვილი

ჩიქანაშანი

— მე ახლა დავრწმუნდი, რომ გამოცდა ნამდვილი ლატარიაა!
— მაშ, მართალი უთქვამთ ზოგიერთებს, ბილეთები წინასწარ იცილებო!

— ვინ დაგიწერა ორიანი?! ვინ დამლუბა, შვილო?!
— მანქანამ!
— ნომერი ვერ დაიმახსოვრე?!



— რავეა საქმე? წელსაც აბარებენ შენი ბიჭები უმაღლესში თუ არა?
— რა ვიცი, წელს ხილის მოსავალმა გვიმტყუნა, არაყის სახდელიც წაიღეს და მარტო ამჟთ ცოდნას ჩემი მტერი დაეყრდნო!

ლორე ჩანბლაქა

ლორე ჩანბლაქა

ნუმორასკა


ალო! ალო!.. დათიკო ვარ მე, ბატონო ლადი!.. კი, ვალერის სიძე!.. ვილოცავთ, წინასწარ ვილოცავთ დაბადების დღეს! მრავალს დაუსწართ ოჯახით! მადლობელი ვარ! არა გვიშავს, კარგად ვართ, მაგრამ ცუდად ვარ, მაგალითად... არა, ისე არ გამოიგოთ, ბატონო ლადი! ნამდვილად კარგად ვართ პირადად, მაგრამ ცუდად გვაქვს საქმე საერთოდ, ასე ვთქვათ, ოჯახად!.. სწვანაირად არ გამოიგოთ და ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან, ბატონო ლადი, და თუ გამიკეთებთ, მაგალითად!..

ა?! რა ბრძანეთ?! ჰა, ჰა, ჰა! მართალია, თუ არ გეტყვი, რა სათხოვარი მაქვს, წინასწარ როგორ გამიკეთებთ, რასაკვირველია!.. ჰე, ჰე, ბატონო ლადი! ძველებურად მასწრობთ და სუძრობთ კიდევ, ასე ვთქვათ!.. საქმე ის ვახსენებ, რომ ჩემმა ქალიშვილმა, ვალენსიამ, დაამთავრა წელს და!.. აჰ, არა, ბატონო ლადი! სამსახურს არ გთხოვ, უმაღლესი კი არ დაუშთავრებია, საშუალო დაამთავრა! კარგად სწავლობდა ძალიან, მაგარი სამოსანია, მარა უთქვენოდ ჩემს გასაჭირს არ მოეველება! თუ მიშველით, ისევ თქვენ მიშველით! ვიცი, ბევრი გაწუნებს ამ საკითხზე, მარა ჩემსკენაც უნდა გადმოიხედოთ, ბატონო ლადი! სხვა თუ არაფერი, ვალერის სიძე ვარ! არა, პროტექციას კი არ გთხოვ! ამხანაგური დახმარების ხელი უნდა გამომიწოდო!.. რა სათხოვარია ასეთი? ძნელი, ძალიან ძნელი ამბავია, მაგრამ თქვენი გავლენისა და კეთილი გულის იმედი მაქვს მე!.. ერთი სიტყვით, ჩემი ვალენსია სავალდებულო სწავლების განკარგულების საფუძველზე, პირდაპირ სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე გაანაწილეს და თავს იკლავს ბავშვი, არ უნდა! არც მე მინდა, სიმართლე რომ გითხრათ!..


ჰოდა, იქნებ როგორმე ფაბრიკაში მომიწყოთ!.. მუშად, რასაკვირველია! ძნელი რომაა, იმიტომ გაწუნებ, ბატონო ლადი! მქონდეს იმედი?! იცოცხლეთ, კიდევ ერთხელ ვილოცავთ დაბადების დღეს!



ნ.ს. ჯ. ლოლუასი



ბასაუბრება მუხის ჩრდილში



ნახ. გ. გოგრიჩიძისა

— „დავი — ათი მანეთი!“ —
 მისწლომიან მუხას.
 ფული ქალი არ არის,
 მაინც ძლიერ უყვართ!
 — „შვილი ოცი დამიჯდა!
 პაი, პაი, დედი!
 დუსტის ფულიც არა მქვს,
 თორემ გინვენებდი!“
 — „ახლა რომელ კურსზეა?“
 — „ვინ და, შენი ბატი!“
 — „რისი კურსი, შე კაცო?!
 სულ უკურსოდ დადის!“
 — „შეც შენსავით გატყავდი,
 გეტყვი, ჩემო ყორა! —
 ჩემმა ბიჭმა ერთ მუტრუკს
 ცხვირი შეუსწორა!“
 — „მერე, როგორ ჩაწყვე?!“
 — „ვნახე კაცი ქველი!“
 — „დავი — ორი მანეთი!“ —
 მღერის კამათელი!..

ჯეგალ კვარანჩილაკა

— ეს უცხოური ავტომანქანა საიდან?!
 — ჩემი ბიჭი უცხო ენებზე აბარებს და პროფილისთვის ვუყიდე!

ნახ. მ. აბაშიძისა



ნახ. გ. გოგრიჩიძისა

— გაუგია ამ ჩემს მუტრუკს, რეპეტიტორები ბევრ
 ფულს აკეთებენო და საშველს არ მაძლევს, სარეპეტი-
 ტოროზე ჩამრიცხეო!



ლაკორონ-შპარბალკომანი

ნოველა

ასოვანებაი სულისა და ხორცისა არ აკლდათ სულა კალმახელსა და სჯულიერსა მეუღლესა მისსა დარეჯანსა, ხოლო არ ესვათ არცა ძეი, არცა ასული.

და არცა ეშურვოდნენ შვილიერებასა. რამეთუ სხვა გასჩენოდათ ფრიად საშური — შოვნა დიდისა ფულისაი! მრავალთახანი ბინა — ტფილისს, სამი სასახლე საგარაკო, რომელთაგან ერთი იყო საგარეუბნო, ერთი მთისა და ერთი ზღვისპირეთისა. ევიწროებოდათ ორთა, რამეთუ მათ მეზობლად ესახლნენ არწივიძენი, ქორიძენი და მაღალა შვილნი ცამდე აწეული სასახლეებითა, რომელთა ფანჯრებში თითო-ორიოლა ბაღი ყელყელაობდა; მათ ჰბაძავდნენ, ექიშებოდნენ კალმახელნი!..

ხოლო ჩაშმოტკილ იყო სულა, ვითა ფულიანისა კაცისა წესია და ჰყავდა „ვოლგა“ ზამთარ შავ და ზაფხულ თეთრ, და ვეღარ ითვლიდა თავსამკაულეებსა და ხელსამკაულეებსა, მალიმალ იცვლიდა უცხოდა ნაკერ კაბებსა და მაინც კანში ვეღარ ეტეოდა დარეჯანი. და ესვათ შინ მოყვანილი ზღვისსიქითა ქვეყნიდან გოშია ერთი, სახელად ფინეზ, მას დაჰგურგურებდნენ, ვითა შვილსა და ჰყავდათ იგიცა ჩაშმოტკილ!..

მათი სასახლისა ირგვლივ ფარა-ფარა დახტოდნენ ბაღნი სხვისანი, ვიეთნი მდგომ



რად ეყენათ კალმახელთ, ვიეთნი — მოახლედ. სულა კალმახელი ჩალიჩმაისტრობდა და ჰქონდათ ოჯახში დიდი ფარა, ძვირფასი ავეჯი, ბაჯალო და ჭინჭი ნაირფერი, ხოლო დარეჯანი ეწუოდა კერძო პრაქტიკასა გინეკოლოგიად, შეუბრალებლად ატრიალებდა მამასა და მუსრს ავლებდა ჯერ მზეუხილავ, თვალაუნელებელ მალხაზებსა და ბუთხუზებსა, ბუტკუცუნებსა და თვალუფუნებსა, ნუკრიებსა და დათოებსა, ია-იებსა და ნარგიზებსა!..
ჟამსა მოცალოებისასა, გორავდნენ უცხოდა მოფარდაველ სკამლოგინზედა მეუღლენი, შეჰხაროდნენ რძისფრად მოქათეთ ბრო-

ლისა ჭალებსა და ელოდნენ მემკვიდრის გაჩენასა, ხოლო ქონორეულსა და სანდაზმულსა დარეჯანს აღარ ძაღედვა ნაყოფისა ტარება დრომდე; დაკნინებულიყო დედისა წილი მრავალგზის შვილგანწირვითა. ვერას გახდნენ ექიმნი. მაშინ მიასწავლეს საართოჯალას ერთ გერმანულ დიაცთან და მან შეუკრა: შელოცვილი ჭინჭებითა მუცელმოწყვეტით შეშინებული წელი. და შემდგომად ამისა, რის ჯახრიოთა და გულადმა თვეობით წოლითა, ვიტამინების ყლაპვითა და საჯდომზე ნემსების ჩხვლეტითა შობა დარეჯანმა ძე; რომელსა უწოდეს ამირან.

ლომსაც ერთი ჰყავსო ბოკვერი, მაგრამ სხვას ათასს სჯობიო, იქადნებოდნენ, რამეთუ მეტის ყოლისა არც ძალა შესწევდათ და არც ჰქონდათ სურვილი. შემცდილებულს არ გაუვჩენთო ამირანს, ამასაც დასძენდნენ.

და შეუყვარა მას ჟამს სულა კალმახელს სენი შიშისაი — დიაბეტი ჩალიჩმაისტრობისას გადატანილი მღელვარებებისგან და დიეტამ მრავალ საიმოგენბათაგან ააღებინა ხელი, ხოლო დარეჯან იკვრიდა წელსა შალითა, რამეთუ წაერთვა შანსი გინეკოლოგისაი იშაისისგანა.

და მაშინ უმიზნეს ამირანი სამედიცინოსა, მრავალისა უმჩანებთა გახადეს ექიმად და ეძიებდნენ სასძლოს, შეძლებულსა დედითგან და მამითგან, მხოლოდშობილსა, რათა იყვეს იგი განუყოფელისა ქონებისა მემკვიდრედ!..

და ჰპოვეს მრავალთა შუამავალთა დასაქმებითა აშორნიას ასული ერთი, სახელად ყამარ, და ჰქმნეს ქორწილი. შემდგომად ამისა ამირან იყო ზედსიძედ.

მძახალნი ავი ენებთ გადასძახოდნენ ერთურთს, ვეღარ გაეყოთ შვილნი და ისევ იმედოვნებდნენ შვილიშვილთა გაყოფასა, იზრახვიდნენ თვინათი სახელების დარქმევასა მათთათვის.

გარნა შობა ყამარმან მხოლოდ ძეი ერთი. ლომად შესახლებული, სახელად ცამცუმ. და იყო იგი ცამცუმ უშრომელ და უზრუნველ, ვითა მამა თვისი ამირან.

გამოსდა ჟამი რაოდენი და იხმო უფალმან ერთმანეთის მიყოლებითა მძახალნი. ყამარს არ ეთმობოდა აშორნია, ტფილისს წარგზავნეს ცამცუმ.

ხოლო კალმახელთა მრავალთახანი ბინას დაჰპატრონებოდნენ მდგომრნი, დონგუზაშვილები და ქიცმაცერაშვილები, დავაძეები და ჩირთიფირთაშვილები. მუნ ჩაწერილნი პასპორტებითა მემკვიდრეებად ეცნო კანონს.

იქმარა ცამცუმ საგარეუბნო აგარაკი დიდი, განასხვისა აგარაკნი მთისა და ზღვისპირეთისა, აქცია ფულად და გრიალებდა რესტორან-სასტუმრო-ტურბაზა-კემპინგებში ამფსონებითა და ფეხსუსტი დიაცების თანხლებითა.

აქ ეზიარა ცამცუმი „სვეტების“ მოდურ ცხოვრებასა და თვითონაც იქცა „სვეტად“. შემდგომ ამისა დაუძმავად ბაზუყ დევსა თოთხმეტშვილიანსა, მოუნათლა ისინი და იქმნა მათ სულიერ ნათესავად, რამეთუ არ ჰყავდა ნათესავნი სისხლისმიერნი, არცა დაი და არცა ძმაი.

და ცხოვრობდა ცამცუმ ბერბიჭად!



ნახ ზ. ლეჟანასანი

— გავიგე, შვილები კარგ ადგილზე მოგიწყვია!
— ისე, რა: ერთი საწყობშია, მეორე — საცხოზში, მესამე — ბაზაში, მეოთხე — ბაზარში! მარტო მესხუთემ მიღალატა: ფილოლოგიური დამათავრა და ქე მიზის შინ!..

ელვაჯა გარაბიშვილი

პარტიზონი ხალხს სიმძვინვარეობის დამოკიდებულებას გამოიწვევს. ცნობილი ქართველი სიმღერის შემოქმედ, ფოლკლორისტი, მწიგნობარი სპ. ზურაბაძის თქმით, როგორც პირველი შემოქმედია, ისევე უნდა იყოს მისი შემოქმედის თანამედროვენი. მან დაწინაურდა მისი „**ქაშვიანი**“, „**შაშა-ქაშვიანი**“, „**ხაჭაპური**“ და სხვა სიმღერები. მისივე ადრინდელი ლექსების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში. მისივე თქმით, მისივე სიმღერების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში. მისივე თქმით, მისივე სიმღერების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში.

პ. ჯ. შაველაძის და **ბ. რაჭველიანის** შემადგენლობაში მისივე სიმღერების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში. მისივე თქმით, მისივე სიმღერების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში. მისივე თქმით, მისივე სიმღერების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში.

სპაპი და **შაველაძის** შემადგენლობაში მისივე სიმღერების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში. მისივე თქმით, მისივე სიმღერების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში. მისივე თქმით, მისივე სიმღერების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში.

აპაპი მამყვინელი

**„ვერცხო ჰყავსო“
„გისწყაყბი“**

ამ ნაწარმოებში (ლიტონისებრი) მირცხო-ღვინის მიზნებს მიუყვება მისი „**გისწყაყბი**“... მისივე თქმით, მისივე სიმღერების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში. მისივე თქმით, მისივე სიმღერების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში.

ამ ნაწარმოებში (ლიტონისებრი) მირცხო-ღვინის მიზნებს მიუყვება მისი „**გისწყაყბი**“... მისივე თქმით, მისივე სიმღერების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში. მისივე თქმით, მისივე სიმღერების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში.

რომლის გავრცელება მხოლოდ პოპულარულ სახეობაში (პარტიზონი) და მისივე თქმით, მისივე სიმღერების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში. მისივე თქმით, მისივე სიმღერების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში.


ეს ნაწარმოები (ლიტონისებრი) მირცხო-ღვინის მიზნებს მიუყვება მისი „**გისწყაყბი**“... მისივე თქმით, მისივე სიმღერების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში. მისივე თქმით, მისივე სიმღერების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში.

ეს იგი მხოლოდ და მისივე თქმით, მისივე სიმღერების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში. მისივე თქმით, მისივე სიმღერების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში.

ეს ნაწარმოები (ლიტონისებრი) მირცხო-ღვინის მიზნებს მიუყვება მისი „**გისწყაყბი**“... მისივე თქმით, მისივე სიმღერების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში. მისივე თქმით, მისივე სიმღერების ნაწილი დატოვდა დასრულებული მდგომარეობაში.



მ. შივატაძის, კალატაძის, თყეშის ქმარის



— შენს მაგივრად მე დამაინტერესებს, შე ღილით



სხატაძის

მედის — „არაუაცოხისათვის“ — კავალრები



მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში ზინაბან სამამთა რუსთაშის სპალამო განყოფილების სამედიცინო გამოსახუნივლ მდგომარეობაში მყოფი 1278 მოქალაქე მათგან 23-მა რეკორდი დაამყარა — ორჯერ და მეტჯერ მოხვდა მთვრალეების „დასასვენებლად“ დაწესებულ ამ „საპატიო“ დაწესებულებაში, 11 კი დაისაჯა წვრილმანი ხულიგნობისათვის. სწორედ ამ ოცდაათობმეტმა ბახუსის მოტრფიალემ ღირსეულად დაიმსახურა მედალი „არაუაცოხისათვის“. ყველანი რუსთაველები არიან. აი, იხილეთ:

გიორგი მიხეილის ქა ბაზიანი — თბილისის №5 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მუშაკი. სახიწყელების კარის გუშაგი, XX მიკრორაიონის №10 სახლში მცხოვრები.

მამული ამბროსის ქა ლაბაქი (მამულის სადღეგრძელოებს არყით სვამდა) — გარდაბნის ხორცოკომინატის მტვირთავი (სამჭერ ზედმეტ ტვირთად აწვა გამოსაფხინვლებლის მუშაკებს), XII მიკრორაიონის №8 სახლში მცხოვრები.

დმიტრი ივანის ქა ბახაღინი — თბილისის №7 სამშენებლო სამმართველოს ბრიგადირი, მიაკოვსკის ქუჩის №8-ში მცხოვრები.

ლინარ მიხეილის ქა ზუბინი — პენსიონერი (დროს სმაში ატარებს), კიროვის ქუჩის №12 სახლში მცხოვრები (გამოსაფხინვლებლიდანაც ითხოვს „პენსიაზე გასვლას“).

თეიმურ ნიკოლოზის ქა დავლარაშვილი — რუსთავის საშენ მასალათა კომბინატის მუშა (სამუშაოს ზოგჯერ ფუშავს, სმაში არა უშავს), VI მიკრორაიონის მე-4 საერთო საცხოვრებლის მობინადრე. გამოაფხინვლეს და დაჯარიმეს 80 მანეთით.

ვლადიმერ მიხეილის ქა პარანაშვინსკი — ლილოს საყოფაცხოვრებო ქიმიის კომბინატის მუშა, ხალხთა მეგობრობის გამზირის №41 სახლში მცხოვრები (ხშირად სვამდაო, დადის მასზე „ქორები“!).

რომან ვარლამის ქა დარახელია (როგორც მსმელი, განა ძველია?) — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის აგლომირიკის მუშა.

ვლადიმერ ივანის ქა ოხაროვი — პენსიონერი, სამჭერ მოასწრო წელს გამოსაფხინვლებელში გამოძინდა, ცხოვრობს მახაბლის ქუჩის №7 სახლში.

ვლადიმერ ნიკოლოზის ქა ვოლკოვი — უმუშევარი, რუსთაველის ქუჩის 24-ე სახლში მცხოვრები.

ვიქტორ გიორგის ქა ვლუსოვი (შეარქვეს „ბუხიო“) — რუსთავის №3 ავტოსატრანსპორტო საწარმოს ზენკალი, წერეთლის ქუჩის მე-12 სახლის მობინადრე.

თანაზი ბარსიანის ქა გომიშვილი — რუსთავის გაერთიანება „აზოტის“ ციანურილებს სააშქროს მუშა (უყვარს თქმა: „დავდიოთ თითო შუშა!“), მე-12 მიკრორაიონის №36 სახლში მცხოვრები.

ივანე ივანის ქა პასტროვი — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაკლინავი სააშქროს მუშა, კომკავშირელი, ხალხთა მეგობრობის გამზირის 41-ე სახლში მცხოვრები.

სერგეი ტიგოთას ქა ლაბატაძე (მღერის: „მე არაყმა დამატკობ!“) — უმუშევარი, XII მიკრორაიონში, №6 სახლის მობინადრე.

ალექსი მიხეილის ქა მულღინი (უყვარს მუქთა პური, ლხინი) — გაურკვეველი პროფესიის მქონე, ცხოვრობს საბჭოს ქუჩაზე, №18 სახლში.

ნიკოლოზ ალექსანდრის ქა ნოვაპი (აწვინ ფხიველი მოვა, კი?) — გაერთიანება „აზოტის“ კაბროლაქტამის სააშქროს მუშა. ამავე საწარმოს №28 საერთო საცხოვრებლის ვაი-მობინადრე.

ვლადიმერ ალექსანდრის ქა პრიტიკოვსკი (სმაში — სუფრის კრიტიკოსი) — მეტალურგიული ქარხნის სამშენებლო სამმართველოს მუშა, რუსთაველის ქუჩის 25-ე სახლში მცხოვრები.



მიხეილ მიხეილის ქა კოპოვი (ორჯერ გამოსაფხინვლებელში ნაპოვის), რუსთავის ლითონკონსტრუქციების ქარხნის მუშა, მახარაძის ქუჩის №10 სახლში მცხოვრები.

ვლადიმერ ვარლამის ქა რუზცოვი — უმუშევარი, არყის მიმღევი, ბოსტან-ქალაქის №1 სახლში მცხოვრები (გზას არ დაადგა გამოსწორების!), სამჭერ აუურყუტებს გამოსაფხინვლებელში.

იური გიორგის ქა ხორინი — უმუშევარი, საგარეოში გაგზავნის სამკურნალოდ, ცხოვრობდა ლეონიდის ქუჩის №20 სახლში.

თანაზ ოტისას ქა ჩლბიძე (აწი ვატიუებთა ჩიხე!) — უმუშევარი, მე-7 მიკრორაიონის №8 სახლში მცხოვრები.

ლემონი ივანის ქა შარბაძე — უმუშევარი, გამოსაფხინვლებლის ხშირი სტუმარი, ბალანჩივაძის ქუჩის №4 სახლში მცხოვრები.

პაპლე ალექსანდრის ქა იაშენაძე — რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სამშენებლო-სარემონტო სააშქროს მუშა, ორჯონიკიძის ქუჩის №14 სახლში მცხოვრები.

მიხეილ პეტრის ქა ბიკაძე — „საქმეკანონთაის“ რუსთავის სამმართველოს მუშა, გამოსაფხინვლებლის სამგზის სტუმარი, თოდრიას II ჩიხის №5 სახლში მცხოვრები.

ლემონი ივანის ქა შარბაძე — რუსთავის სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს ზენკალ-შემონტაჟე, ბალანჩივაძის ქუჩის №4 სახლში მცხოვრები (უწესრიგობისთვის გადახდევინეს ფულადი ჭარბმა).

ალექსანდრე ნიკოლოზის ქა ბალაშვილი — დროებით უმუშევარი, პიონერის ქუჩის №42 სახლში მცხოვრები, სიმთვრალის დროს ჩადენილი წვრილმანი ხულიგნობისათვის ათი დღე-ღამე იჭდა, „სადაც ჭერ არს“.

ვიჩანსლავ ალექსანდრის ქა ვირსნიშვილი — წყალმომარაგების ტრესტის ზენკალი, ფალიაშვილის ქუჩის №4 სახლში მცხოვრები, დათვრა და ათი დღე-ღამით ჩამოაშორეს სახმისს.

მიხეილ ვეგანის ქა ზარდუაშვილი — რუსთავის სარემონტო-შეკანტიური ქარხნის ზენკალი, XX მიკრორაიონის №11 სახლში მცხოვრები, ნაბახუსევზე იჭდა ათი დღე და ღამე და მღეროდა: „აბა, ყვავებს ვინ დაიქერს, კარგო?“

დავით შარდინანდის ქა ლეკაშვილი — არსად არ მუშაობს (სიმთვრალეში გულშავობს), ცხოვრობს ფალიაშვილის ქუჩაზე (სახლი №8), გამოაფხინვლეს და 80 მანეთი ჭარიმაც გადახდევინეს.

ნიკოლოზ ზაპარისას ქა აბრამიშვილი (რომ დათვრება, გეგონება აბრავის შვილი) — სარემონტო-სამშენებლო ქარხნის მუშა, მამა აბრამის ბატკანივით იჭდა ათი დღე-ღამე და ფქრობდა, ნეტავ შხამი დამელიაო!

დავით რეპაზის ქა ზაპარისას ქა (იგივე თავქარიანი) — რუსთავში მიმდგარებაში მყოფი, წვრილმანი ხულიგნობისთვის დააპატიმრეს მთვრალი (იძახის: „ვაი ჩემი ბრალი“).

ვია რეპაზის ქა ვაზრინდუაშვილი — ესეც მიმდგარებაში მყოფი, არყისგან მოფაფალებული მაინც ხულიგნობდა და ათი დღით „გაამაგრეს“.

ამთანდილ გიბას ქა ცუცპირიძე — გაურკვეველი პროფესიის მქონე, შეგნების არმქონე, ლოთების გამგონე, მიაკოვსკის ქუჩის №5 სახლში მცხოვრები (ოცდაათი მანეთით დაჯარიმეს).

იანის ნიკოლოზის ქა ალიხანალი — რუსთავის საქმიანი ეზოს უსაქმო მუშა, კიროვის ქუჩის №8 სახლში მცხოვრები, 80 მანეთი დაღვევაში გადაიხდა, 80 — გამოფხინვლებდაში.

ერთი ნითელი უანქრის მოხლოები

ეს ამბავი წამით სდება:
როცა წვერი წამიწყდება,
რომ მგონია, მოვრჩი ტანჯვას,
ისევ წამთლის, ისევ!..
და ახალი წვერით ამ გულს
კვლავ ნაღველით მივსებს!..
მისი რეზოლუციები
ყველა არის კერძო!..
როგორც სურდა, თვითონ სურდა,
ყველაფერი შეძლო!..
არეინ არის ქვეყანაზე
ჩემი გამკითხავი, —
ვისთან უნდა დავილიო,
ვის შევწირო თავი?!
ფურცლებზე რომ გამატარებს,
ქალაქს ქრეოლა უვლის!..
ნეტავ ვიყო გაუთლელი,
სულ არ მქონდეს გული!
ნეტავ მოვხვედრილიყავი
კაცურ კაცის წელში,
არ გავლევდი ჩემს სიცოცხლეს
წუნხლით და ხუნეშით!..
ვყოფილიყავ გეოლოგთან,
ვინც დაქვებ შადანს!..

რა დღეში ვარ, აღარ ვიცი,
თავს რა ტანჯვა მადგას!
სუყველაფერს აჯობებდა
(მომკლავს მე ეს ნატვრა!),
ჩავეარდნოდი იმ ბავშვს წელში,
ვისაც უყვარს სატვა!
ყვავილებსა და პეპლებთან
დანატავდა დიდ მზეს!..
პა, სულსა ვლევ, აღსასრულის
დღე მოსულა, ვიგრძენ!..
მისარია ვე სიკვდილი,
მისარია, მორჩა!..
მთების იქით კი სამშობლო —
სულ ტყეები მოჩანს!..
ისე ვკვდები, მე სიცოცხლე
არ მივრძენია წუთით!..
სუყოველდღე ცრემლი მქონდა,
სუყოველდღე ვწუსდი!..
ღმერთო, ჩრდილი რად დაჰფინე
ჩემი ბუდის ყვავილს?!
ვაი, მრჩება ქვეყანაზე
დანყველილი კვალი!

სულსან აბდალაძე

უანქრის

- **წასრივის** დამცველებს ლოთი სახლში მიჰყავდათ, იგრძნო და გაიძახოდა, ცოლთან — ნუ, თქვენთან წამიყვანეთო!
- **ღვინომ** თქვა: მე ვაზის მტევნიდან ვიწურები, ჩემი უსაზღვროდ მსმელი — ჰკუიდანო.
- **ვაჟმა** თქვა: მე ჰიგოს ვებევი, ლოთი კი — ხესო.
- **სპირტიანი** სასმელები ბუზლუნებდნენ: ლოთის მაგივრად ჩვენ ჩაგვეტესო!
- **ავტომატანების** შემკვეთებელმა თქვა: რესპუბლიკაში ლოთობამ იკლო საგრძნობლად, ჩემს ოჯახში კი — შემოსავალმაო!
- **ლოთობას** გადაჩვეულმა კაცმა თქვა: რაც მე ცხვირით მიწა მიხნავს, სახნისით რომ მეხნა, სოფელში ჩემი ბაღალი გლეხი არ იქნებოდაო.

ლილი აზიანიძე

სპირტმა მტკიცედ განვაგრძოთ ქალაქის ნაკადის შემცირების, მუშაობის კაბინეტური სტილის, მრავალრიცხოვანი სხდომებითა და თათბირებით გატაცების დაძლევის გეზი.

გაუთეზიდან

ნახ. გ. ლომიძისა



— ამოყვინთეთ, უფროსო! ახალი ქალაქლები მოგართვით ხელმოსაწყრადა!



ვალბორნი

ქნელია სხვა სახელი გამოუნახოთ „აფხაზსოფლიუმის“ გულრიფშის სარაიონ-თაშორისო საწარმოო გაერთიანების თავმჯდომარეს **ბ. ჭურჭუმიას**, მის მოადგილეს **ი. შიქაძეს**, რაიონის აგროსამრეწველო გაერთიანების მთავარ ინჟინერ **მ. ჯაღალღონიას** და მთავარ აგროქიმიკოს **პ. სოჭირიას**! სწორედ მათი „დამსახურება“, რომ 1984 წელს, აგროქიმიური კარტოგრაფების მონაცემების გათვალისწინებულად, რაიონის სასოფლო-სამეურნეო ობიექტებს 2287 ტონა ზედმეტი მინერალური სასუქები მიაწოდეს.

ეტყობა, მეურნეობათა ხელმძღვანელებმა რუსული ანდაზა — „Маслом кашу не испортишь“ გაისვენეს და დაუზოგავად, ყოველგვარი ნორმების უგულებელყოფით შეუდგნენ ნიადაგის განოყიერებას.

მართაშვილის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — **მ. აფხაზაძე**, მთა-

ვარი აგრონომი — **რ. აფხაზაძე**), მინერალური სასუქების აგროქიმიური კარტოგრაფის გარეშე გამოყენების შედეგად, 86 ტონა, ანუ 2800 მანეთის ღირებულების ზენორმატიული სასუქი შეიტანეს სავარგულებში. აქვე გაფუჭდა 31 ტონა სასუქი!..

სოფელ მერხეულის პუშკინის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე — **დ. შინდროშვილი**, მთავარი აგრონომი — **ნ. ღვინჯილია**) ნორმის ზევით გაიხარჯა 31 ტონა მინერალური სასუქი, რომლის ღირებულება 1500 მანეთია!..

წებლდის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში (დირექტორი — **ბ. შინასიანი**, მთავარი აგრონომი — **ი. შიქაძე**) სასუქების შენახვის ვადების უხეში დარღვევის შედეგად ფუჭდება 53 ტონა სასუქი, რომლის ღირებულება 2650 მანეთია! აქ სავარგულებში ნორმის გადაჭარბებით შეტანილ იქნა 126 ტონა ამიაკის გვარჯილა, რომლის ღირებულება 5300 მანეთს შეადგენს!

მინერალური სასუქების განივება-გაფუჭებით ბაბუშარის ეთერ-ზეთების საბჭოთა მეურნეობა-ქარხნის დირექტორმა **პ. ქაჭარაძემ** და მთავარმა აგრონომმა **ნ. გოგინაძემ** „გამოიჩინეს“ თავი: აქ 40 ტონა სუპერფოსფატი და 30 ტონა ამონიუმის სულფატი ერთმანეთში აურიეს და, ვერ უზრუნველყვეს რა სწორი შენახვა, 1209 მანეთის ძვირფასი სასუქი გააფუჭეს! სამაგიეროდ გადაჭარბებული ხელგაშლილობა გამოიჩინეს აზოტით ნიადაგის განოყიერების საქმეში — 98,8 ტონა უმიზნოდ გაანიავეს! ასევე ნორმის ზევით დახარჯეს 55 ტონა სუპერფოსფატი და, ამრიგად, სახელმწიფოს 5800 მანეთის ზარალი მიაყენეს.

1984 წელს ჩატარებულმა დოკუმენტურმა რევიზიამ რაიონში გამოავლინა 1066,8 ტონა სხვადასხვა სახის სასუქის დანაკლისი, რამაც სულ „რაღაც“ 62.654 მანეთი შეადგინა: იმათ საქმეს, ვისაც ამ დანაკლისში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის, აფხაზეთის ასსრ შინაგან საქმეთა სამინისტრო იძიებს.


იტყვი, „მომჭირნეობა“ რაღა შუაშია? ახლავე მოგასვენებთ:

მერხეულის პუშკინის სახელობის კოლმეურნეობაში ნიადაგს დააკლეს 18 ტონა ფოსფორის ფქვილი, წებლდის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობაში — 246 ტონა სუპერფოსფატი, 108 ტონა კალიუმის მარილი და 99 ტონა ფოსფორის ფქვილი.


„აფხაზსოფლიუმის“ გულრიფშის სარაიონ-თაშორისო საწარმოო გაერთიანებისა და ცალკეული სასოფლო-სამეურნეო ობიექტების ხელმძღვანელთა უყიარათობასა და საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას წერტილი დაუსვა აფხაზეთის ასსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა, რომელმაც ამას წინათ განიხილა მინერალური სასუქების განივებელთა საკითხი და **ბ. ჭურჭუმი** და **ი. შიქაძე** გადააყენა დაკავებული თანამდებობებიდან. მეცრად დაისაჯნენ **მ. აფხაზაძე**, **დ. შინდროშვილი**, **ზ. შინასიანი**, **პ. ქაჭარაძე**, **პ. სოჭირია**, **რ. აფხაზაძე**, **ი. შიქაძე**, **ნ. გოგინაძე** და სხვები.

ნოდარ ხუნდაძე, „ნიანგის“ კორესპონდენტი აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში.

ნ.ხ. ჯ. ლოლუსანი



— ეს ქრთამი არ გეგონოთ, პატივცემულო: თქვენი ყოველთვისური ჯამბაგირია ჩვენი საამქროლდან!



ინტერვიუ

კითხვა: - ბატონო შიომ, პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ, თუ?..
პასუხი: - დიას! ჩვენ სამსკარადო არაფერი გვაქვს! უნილ-
 ბოდ, გეთყავთ, უნილბოდ! კნუტი რომ კნუტი, დღეს ისიც კი უარ-
 ყოფს კატას და პირდაპირ ვეფხვობაზე ფიქრობს!..
კითხვა: - კეთილი და პატიოსანი! აი, თქვენ, დღეს ქვეყნის
 უბრწყინვალესი მწერალი ბრძანდებით! არც მოგერიდებით, - უბრა-
 ლოდ, - დიდი მწერალი! რას ფიქრობთ საკუთარ თავზე, როგორ
 მიაღწიეთ ესოდენ მიწვევამდე?
პასუხი: - ყველაფერი ბავშვობიდან იწყება, - ინსპირაციაც და
 ყვარჯნით სიარულიც; ქარიყლაპია ფსიანი თევზია, თუ მას გადაყ-
 ლაპავ ბავშვობაშივე, ესე იგი, ვეშაბი ხარ, თუ არა და - ქარიყლა-
 პიაზე ნაკლები! მე ბავშვობიდანვე გადავწყვიტე, სილამაზის მიშე-
 ნიერება ფერებში გადამეტანა და კაცობრიობისათვის მიმეცა დღე-
 ვანდებლობის უტყუარი საღებავების სილაღე. როგორც სედავო, ყვე-
 ლაფერი ეს... (მატონმა შიომმა დაირცხვინა და თავი
 დახარა).
კითხვა: - რა ყველაფერი ეს?
პასუხი: - რა და, როგორც თქვენ ბრძანეთ!.. (კვლავ
 ჩაქინდრა თავი ბატონმა შიომმა).
კითხვა: - მე რა ვბრძანე?
პასუხი: - რა და, აი, უბრწყინვალესთან დაკავშირებით რომ
 ბრძანეთ!
კითხვა: - რა, დიდი მწერალი ბრძანდებით-მეთქი?
პასუხი: - დიას! (თქვა უარესად დარცხვენილმა
 და თავნადუნულმა შიომმა).
კითხვა: - კი, მაგრამ, მე თუ ძალაზე, გაზით არ ამოგაღალ-
 ამოგაღიჯეთ სიტყვები, თქვენ თქვენს თავზე არაფერი არ უნდა
 თქვათ?
პასუხი: - იცით რა, მე მორიდებული კაცი ვარ, რასაც ვაქ-
 თებ, არ თქმა უნდა, დიღია და უდიდესიც, მაგრამ ამაზე, დაე,
 სხეებმა ილაპარაკონ!
კითხვა: - (შეკითხვამდე, კორესპონდენტმა, რა-
 თომღაც სამჯერ გააქან-გამოაქანია თავი და მერე
 შეეკითხა) თქვენ განუყოფელად ქარაგმულ-იგაფური პროზა
 გაქვთ! ამაზე რაღას გვარბევთ?
პასუხი: - დიას, - არის მასში რაღაცნაირი ინკრიმინირება;
 მე ბრალს ვდებ, ბრალს ვდებ საზოგადოებას, რომელშიც მე ვცხოვ-
 რობ! რაში?! - თქვენ მკითხავთ. რაში და გონების დატუქსვაში!
 დიას, არ უნდა დატუქსო გონება უდიდესი ლიტერატურით, ბაზარი
 დახურული სელობა, გული კი დიას, - მარკუს ავერელიუსისა ათ-
 იყოს. უროს თავში ჩარტყმა ერჩივნათ დღევანდელი პროზის კით-
 ხვას! რაც ჩემგან იწყება, ის ჩემივე მთავრდება! მძულს ყალბი და
 არაქართული!..
კითხვა: - თქვენ ამით რა გინდათ თქვით, ის, რომ დიდი
 პურიც თონუნი ცხვება და კატიც, თუ?..
პასუხი: - სრულებითაც არა! მე მინდა ვთქვა, რომ პურის
 გამოსაცხობად თონე კი არაა საჭირო, არამედ - გული, გული, რო-
 მელიც ერს ეკუთვნის!
კითხვა: - დღეს, ბატონო შიომ, მოგესხნებათ, ქართულ პრო-
 ზაში, და ცოტა იქითაც, ვაკუუმი. ვერაფერს დიდს ვერ შეაჭიდნენ.
 რას ფიქრობთ თქვენ, როგორც მთელ მსოფლიოში აღიარებული
 პროზაიკოსი?
პასუხი: - დიას, მე სწორედ ამ გადასახედიდან მოგახსენებთ:
 წვრილთმანიანობა მოიცვა ჩვენი ლიტერატურა, პატარ-პატარა მოთ-
 ხრობებმა. პატარა პროზა ჯუჯათა საქმეა, ახლა საჭიროა დიდი რო-
 მანები, უსაშველოდ დიდი რომანები!

კითხვა: - თქვენ რომ წერთ იმხელა?
პასუხი: - თუნდაც იმის მეოთხედი! (აქაც დარც-
 ხი ჩანდა ბატონი შიომი).
კითხვა: - მაშ, რაღა ვთქვათ ნიკო ლორთქიფანიძეზე, ან
 თუნდაც, დღევანდელ რევაზ ინანიშვილზე?
პასუხი: - ყველანი გადავლენ ეგენი დიდ პროზაზე, რა თქმა
 უნდა, გადავლენ! ფაფას სული უნდა უბერო მანამ, ხანამ კარგად არ
 გაცივდებოდ, - ამბობს ირბახი, დიდი ფილოსოფოსი! (მატონი
 შიომი თითქოს ჩაფიქრდა).
კითხვა: - რამდენ ენაზე ხართ თარგმნილი?
პასუხი: - ყველა ცოცხალ ენაზე და რამდენიმე მკვდარზეც.
კითხვა: - მე გატყობთ, ბატონო შიომ, რომ გადავალალო-
 ამიტომ დასასრულს ვუახლოვდებით, ერთი შეკითხვა მინდა მოგვეთ-
 მკითხველებს აინტერესებთ, ჭადრაკს თუ თამაშობთ და ფიშერს თუ
 იცნობთ?
პასუხი: - ორივე შეკითხვას ერთად ვუპასუებ, მაგრამ ცოტა
 შორიდან დავიწყებ: მე, როგორც გამოსაკლისი, სენდროს მურაბა
 მიყვარს, ყვავილოვან კომპოზიტოსთან ერთად. სხვათა შორის, ალიო-
 ხინს უყვარდაო, კარპოვისგან მომისმენია; რაც შეეხება ფიშერს,
 იმალება და სად შეხვდები?! ისე კი, დიდი სურვილი მაქვს, შეხვდე
 და ვესაუბრო რამეზე, თუნდაც ავსტრალიური ძაღლის ჯიშებზე, ან
 სათაფლიის დინოზავრებზე!.. რა ვიცი?!. სალაპარაკოს მეტი რა
 არის?!.
კითხვა: - მარკესისა რა იცით, როგორ ბრძანდება?
პასუხი: - რა უჭირს, საწყალი, ქე არის!..
კითხვა: - ამდენი უცხოელი!.. ამდენი სტუმარი!.. ბინის სა-
 კითხვ? ხომ არ ფართოვდებით?
პასუხი: - გუშინ იყვნენ ჩემთან და, მძღვევენ შვიდიანს.
კითხვა: - ამას რას უშვებთ?
პასუხი: - ამას ბიჭს ვუტოვებ, სამიანია, უკვე თხოუმეტიც
 გახდა! მე, ჩემი ბიბლიოთეკა და ჩემი ქალი შევძვრებით შვიდიანში.
კითხვა: - როგორ უძლებთ მსოფლიო აღიარებას და დიდუ-
 ბას?
პასუხი: - თქვენ როგორ უძლებთ ამხელა სიცხეს? ყველა-
 ფერს გაძლება უნდა, გეთყავთ!
კითხვა: - სიცხესთან დაკავშირებით, რას იტყვით კონდიცი-
 რებაზე საერთოდ?
პასუხი: - არავითარი კონდიცირებული ჰაერი და არავითა-
 რი სელოვნური სიგრილე! მე მიყვარს მამაპაპური ჰაერი! დიასაც,
 მწერალი სიცხეში უნდა წერდეს, ოფლი უნდა სდიოდეს ღვართქა-
 ფად, ყველაფერი უნდა გაილოს ქვეყნისათვის!
კითხვა: - ბატონო შიომ, როგორც საყოველთაოდ ცნობილია,
 თქვენ კაცთმოყვარეობის ინსტიტუტში მუშაობთ ბატონ
 ბონდოსთან; იქ როგორღაა საქმეები?
პასუხი: - რაღაც ისე მენიშა, პერსპექტივაზე მეკითხებით! -
 კათედრის გამგეს, ბატონ ბონდოს, ინფარქტი აქვს გადატანილი, იმ
 დღეს ველაპარაკე, ალბათ მალე ჩაძაღლდება და მის ად-
 გილს მე დავიჭერ! დიას, კათედრის გამგე ვახდები! ვახსოთ, შემდ-
 გომი ჩემი მიზანი ინსტიტუტის რექტორობაა! ბარე ორს ჩავუშვარებ
 სიბერეს, მაცალიონ! (თქვა კაცთმოყვარეობის ინსტი-
 ტუტის კათედრის წევრმა და საყვარლად ჩაი-
 ღილიდა მექსიკურ ულვაშებში).
კითხვა: - ახლა რაზე მუშაობთ?
პასუხი: - რაზე ვიმუშავებ, გენაცვალე?! იბუგება ქვეყანა და
 რაზე ვიმუშავებ?! განცხადება მაქვს შტატნილი მწერალთა კავშირში
 ორწლიან მივლინებაზე, ორი თვე მთაში მინდა წავიდე, - ივნისი და
 ივლისი, ორი თვე ზღვაზე წავალ ბიჭვინთაში, - აგვისტო და
 სექტემბერი, ოქტომბერ-ნოემბერში კი მოსკოვში ჩემს წიგნებს
 მინდა მივხედო! - ესეც ეროვნული საქმეა! მერე - ბაკურიანში,
 შემდეგ უცხოეთში მივდივარ, სიმპოზიუმზე! ხომ იცო, ოჯახია, ბე-
 რი უნდა!.. რაღა დარჩა?! დანარჩენი დრო წერისთვის უნდა გამო-
 ვიყენო!
კითხვა: - რამდენი წიგნი გაქვთ სულ გამოცემული?
პასუხი: - პროზაში - ოცდახუთი, პოეზიაში - ხუთი, იუმორ-
 რში - სამი, ცხრა - ლიტერატურათმცოდნეობაში, სამი - კრიტი-
 კული წერილები! გამომცემლობაში წარვადგინე ახალი ლექსიკონი
 ოთხმოცფორმიანი! მინდა, გავახაროთ თქვენც და გავახარო ჩემი
 მკითხველიც; ორენოვო-ზუევოში მალე დაიდგება ჩემი ახალი პიესა
 „უძაღლო ქვეყანა“. პო, მართლა: ქართველი ერის წარმომოხსენებ
 მაქვს ახალი ვერსია! - სულ სხვანაირად წარმომოხსენებ!
კითხვა: - ზედმეტად ხომ არ დაგაღალეთ?
პასუხი: - რას ბრძანებთ! მე ჩემი ხალხისა და ჩემი
 ქვეყნისთვის უნდა ვარ, უფრო მაგრა დაკიდალო! მთავარია თავმ-
 დაბლობა, თავ-მ და-ბ ლო-ბ ა!
**პატონი შიომის მიერ საკუთარი თავისაგან აღებული ინტერვიუ
 ბატონ შიომსავე ჩამოართვა და მადლობა გადაუხადა ნარჩინა
 პროზინცილმა.**

ქმნაგაში მიმდინარეობს მოლაპარაკება ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამ მოლაპარაკების ამოცანაა, როგორც იგი ემის საბჭოთა ხელმძღვანელობას, გამაღებელი შეიარაღების შეწყვეტა დედამიწაზე და მისი თავიდან აცილება კოსმოსში. ჩვენ დაწთანხმდით მოლაპარაკებაზე, რათა ნამდვილად მივადწიოთ ამ მიზნებს. მაგრამ, როგორც ყველადრიდან ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს, რომელსაც იგი ემსახურება, სწორედ ეს არ სურთ. სერიოზულ მორიგებათა მიღწევა, როგორც ჩანს, არ შედის მათს გეგმებში.

გაზეთიდან



ამერიკელები შენვს კვები

ИЗДАТЕЛЬСКИЕ

№ 529
30/11/85



ქართული
კომუნისტური
პარტია

საბჭოთა და იუბილური
ჟურნალი „ნიანგი“ № 15
(1627) აგვისტო, გამოცემა
1923 წლის ივნისიდან

მთავარი რედაქტორი
ზაურ ბოლშაქოვი

სარედაქციო კოლეგია

ავთანდილ აღიშვილი
(პასუხისმგებელი მდივანი),
ჭაბუა ამირჯინი, ნოზალი
ბართილა, ზორის გურგუ-
ლია, რევაზ თვარაძე, ჯე-
მალ ლოლუა, ნოდარ მალა-
შონია (მხატვარ-რედაქტო-
რი), ალექსანდრე სამსონია,
ბეჟან ხიზარულიძე (მთავარი
რედაქტორის მოადგილე),
ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ
წიფჩივაძე, ნადი ქუხოსიძე.

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ კუხალაშვილი

გადაცემა ასაწყობად 8.07.
85 წ. ხელმოწერილია დასა-
ბეჭდად 20.08.85 წ. ქა-
ლალის ზომა 60x90%
ფორკური ნაბეჭდი ფურცე-
ლი 1,25, სადრიცხვო-სავა-
მომრეწველო თაბახი 1,9, სე-
ქართველოს კმ ცვ-ის გა-
მომრეწველობა, ლენინის, 14.
შეკვეთა № 1519 უმ 05580
ტირაჟი 143300 ეურნალი
გამომცემის თვეში ორჯერ
რედაქციის შენოსეული მა-
სალები ავტორებს არ უბ-
რუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008,
თბილისი-8, რუსთაველის
პროსპექტი № 42

ტელეფონები: მთავარ-
რედაქტორის — 99-55-54,
მთ. რედ. მოადგილეს —
93-19-42, პ/მ მდივნის —
93-10-78, მხატვარ-რედაქ-
ტორის — 99-02-38, გან-
ყოფილებათა გამგეების —
93-49-32, რედაქტორ-ლიტ-
მუშაების — 99-02-36,
მდივნის — შეშანქანის —
99-76-69.

სატირიკო-იუმორისტичე-
სკი ჟურნალი «НИАН-
ГИ» (на грузинском
языке) Тбилиси, пр. Ру-
ставели № 42. Издатель-
ство ЦК КП Грузии,
типография издательства
ЦК КП Грузии, Тбили-
си, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპიკი
ინდექსი 76137